

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე რეზოლუცია (ამონარიდი)

48. მცხეთის ისტორიული ძეგლები (საქართველო) (C 708bis)

კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის წელი 1994

კრიტერიუმები (iii) (iv)

მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების ნუსხაში შეტანის წელი (წლები) 2009-2016

- მართვის მექანიზმის არარსებობა
- მიმდებარე მიწის პრივატიზაცია
- ზოგიერთი კომპონენტის ავთენტიკურობის დაკარგვა ალდგენითი სამუშაოების მიუღებელი მეთოდოლოგიით შესრულების გამო

კომიტეტის წინა გადაწყვეტილებები იხ. გვერდი: <http://whc.unesco.org/en/list/708/documents/>

საერთაშორისო მხარდაჭერა

დამტკიცებული მოთხოვნები: 4 (1997-2010 წლებიდან)

დამტკიცებული თანხა: USD 96,160

დეტალებისთვის იხ. გვერდი: <http://whc.unesco.org/en/list/708/assistance/>

იუნესკოს არა საბიუჯეტო ფონდები

მთლიანი თანხა: Funds-in-Trust. საქართველო-იუნესკოს შეთანხმება: კულტურული მემკვიდრეობის საკონსულტაციო მომსახურება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის (NACHP) მესამე რეგიონული განვითარების პროექტის (RDP III) ფარგლებში. საერთო ბიუჯეტი: 250, 000 აშშ დოლარი.

წინა მონიტორინგის მისიები

1993: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მისია; 1994 წლის მაისი: ICOMOS საკონსულტაციო მისია; 1999: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მისია; 2001 წლის მაისი: მემკვიდრეობისა და ტურიზმის გენერალური გეგმის მისია; 2003 წლის ნოემბერი, 2008 წლის ივნისი, 2010 წლის მარტი, 2012 წლის აპრილი, 2014 წლის ნოემბერი და 2018 წლის თებერვალი: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM -ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის

მისიები; 2014 წლის ნოემბერი: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი / მსოფლიო ბანკის ერთობლივი საკონსულტაციო მისია; 2015 წლის ნოემბერი, 2016 წლის თებერვალი და დეკემბერი: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ტექნიკური დახმარების მისიები; 2017 წლის ივლისი - სექტემბერი: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ტექნიკური დახმარება ადგილზე; 2018 წლის დეკემბერი: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი/ICOMOS-ის საკონსულტაციო მისია; 2020 წლის თებერვალი: ICOMOS-ის საკონსულტაციო მისია.

წინა ანგარიშებში გამოვლენილი ძეგლზე გავლენის მქონე ფაქტორები:

- მართვის მექანიზმის არარსებობა (საკითხი მოგვარებულია)
- ერთიანი ბუფერული ზონის განსაზღვრის არარსებობა (საკითხი მოგვარებულია)
- ქალაქ მცხეთის ურბანული გენერალური გეგმის არარსებობა
- არასაკმარისი კოორდინაცია საქართველოს ეკლესიასა და ეროვნულ უწყებებს შორის
- მიმდებარე მიწის პრივატიზაცია
- ქვის ბუნებრივი ეროზია
- ავთენტიკურობის დაკარგვა ეკლესიის მიერ ჩატარებული წინა სამუშაოების დროს
- არასათანადო ურბანული განვითარება მგრძნობიარე ისტორიულ გარემოში (საკითხი მოგვარებულია)

საილუსტრაციო მასალისთვის იხ.: <http://whc.unesco.org/en/list/708/>

მიმდინარე კონსერვაციული საკითხები

2019 წლის 29 ნოემბერს წევრმა ქვეყანამ წარმოადგინა ანგარიში კონსერვაციული მდგომარეობის შესახებ, რომლის რეზიუმეც ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://whc.unesco.org/en/list/708/documents/>. ანგარიში წარმოადგენს წევრი ქვეყნის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს/მიღებულ ზომებს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 42 -ე სესიაზე (მანამა, 2018) მიღებული გადაწყვეტილების საპასუხოდ:

- ახალი „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მიღება (ძალაში შევიდა 2019 წლის 3 ივნისს);
- სპეციალური მართვის კომიტეტის (SC) და ინსტიტუციათაშორის პროფესიული კომიტეტის შექმნა ურბანული დაგეგმარების დოკუმენტაციის შემუშავების მხარდაჭერის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის მიზნით;
- მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში ურბანული განვითარებისა და მიწის პრივატიზაციის შესახებ (ცნობილია როგორც მორატორიუმი) დადგენილების 2020 წლის ივლისამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

წევრი ქვეყნის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში კონსერვაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოიცავს დამატებით ინფორმაციას ჯვრის მონასტრის მცირე ეკლესიის კონსერვაციის პროექტის განხორციელების თაობაზე (2015-2018), სამთავროს ხეობის

არქეოლოგიურ ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძრის კომპლექსის, დასავლეთის კარიბჭის ქვის საკონსერვაციო, და დასავლეთის გალავნის კედლის ფრაგმენტის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შესახებ და, ასევე, მცხეთის ახალი არქეოლოგიური მუზეუმის ადაპტაციის სამუშაოების ჩატარების შესახებ.

2018-2021 წლებში, წევრმა ქვეყანამ საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების 172-ე პარაგრაფის შესაბამისად, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარუდგინა 36 საპროექტო წინადადება ძეგლის საზღვრებში, ბუფერულ ზონასა და მის უფრო ფართო გარემოში/სეთინგში, მრჩეველი ორგანოების მიერ განსახილველად.

მაღალი დონის შეხვედრის შემდგომ, რომელიც შედგა 2020 წლის 4 თებერვალს იუნესკოში კულტურის დარგში (UNESCO) გენერალური დირექტორის თანაშემწეს, ვიცე-პრემიერის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრსა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მონაწილეობით, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, ICOMOS-სა და ეროვნულ უწყებებს შორის კონსტრუქციული დიალოგი განვითარდა სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის დამატებითი საკონსულტაციო დახმარების გაწევის მიზნით, „ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის“ დასასრულებლად.

2020 – 2021 წლებში წევრმა ქვეყანამ განაგრძო მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისთვის დამატებითი ინფორმაციის გაგზავნა:

- 2020 წლის 10 მარტს, ინფორმაცია გაიგზავნა კონკრეტულად ქალაქ მცხეთის გენერალური გეგმის კონცეფციის შესახებ, რომელიც მოიცავს ტერიტორიასთან დაკავშირებულ ყველა სექტორულ გეგმას, პროექტსა და პროგრამას. ასევე, ინფორმაციას "დიდი მცხეთის" მდგრადი განვითარების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესახებ და 2019-2020 საკონსულტაციო დახმარების ანგარიშს;
- 2020 წლის 23 დეკემბერს წევრმა ქვეყანამ აცნობა სამდივნოს მორატორიუმის მოქმედების გაგრძელების შესახებ 2021 წლის 1 იანვრიდან დაუზუსტებელ თარიღამდე. მცხეთის გენერალურ გეგმაზე განახლებული ინფორმაცია წარმოადგინეს იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რომლებიც კონტრაქტორ კომპანიასთან შეიქმნა. სიტუაციის გაუმჯობესებისთვის, წევრი ქვეყანა გეგმავს ონლაინ საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარებას ექსპერტებთან, რათა მოხდეს დოკუმენტის შემდგომი განვითარება;
- 2021 წლის 17 აპრილს წევრმა ქვეყანამ გამოაგზავნა დოკუმენტაცია თბილისის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მემკვიდრეობის ძეგლის ფართო გარემოში/სეთინგში და მისი ბუფერული ზონის გარეთ, რასაც მესამე მხარის შემოფოთება მოჰყვა 2021 წლის 23 აპრილს;
- 2021 წლის 17 მაისს, წევრმა ქვეყანამ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს აცნობა, რომ მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის (ULUMP)

და დეტალური სახელმძღვანელო პრინციპების დამუშავება სამშენებლო პირობებისა და შეზღუდვების დაზუსტების შესახებ კვლავ ფერხდება COVID 19–ის გამო. შესაბამისად, მორატორიუმი გაგრძელდა გენერალური გეგმის, განვითარების გეგმების და მცხეთის განვითარების დეტალური გეგმის დამტკიცებამდე მუნიციპალიტეტის მიერ.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, ICOMOS-ისა და ICCROM-ის ანალიზი და დასკვნები

წევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ძეგლზე სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების მიმართულებით. „მცხეთის სივრცითი ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის“, მცხეთის ურბანული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (ULUMP) ჩათვლით, შემუშავების პროცესი მიმდინარეობს და შედეგად მივიღებთ: 1) მცხეთის გენერალურ გეგმას; 2) მცხეთის განვითარების გეგმას და განვითარების დეტალურ გეგმებს; და 3) მცხეთის სივრცითი დაგეგმარებისა და ურბანული დაგეგმარების საინფორმაციო სისტემას.

2018 წლის დეკემბერში, საქართველოს უწყებების მოთხოვნით და 2019-2020 წლების საკონსულტაციო დახმარების კონტექსტში, მოწვეული იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისია, რომელმაც განახორციელა შემდეგი:

- ULUMP - ის პროგრესის მიმოხილვა, კერძოდ, მცხეთის ქალაქის გენერალური გეგმის კონცეფცია - ეტაპი II - ძალიან მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს ქალაქის ყველა შენობისა და ნაკვეთის, და შემოგარენის 3D ვიზუალიზაციას, მათი ძირითადი მონაცემებითურთ. ეს მონაცემთა ბაზა იქნება ძირითადი ინსტრუმენტი გენერალური გეგმის შემდგომი ფაზებისთვის, ასევე მისი შესრულების სამომავლო მონიტორინგისთვის;
- განხილულ იქნა განახლებული ტექნიკური პირობები მცხეთის სივრცითი დაგეგმარებისა და ურბანული დაგეგმვის საინფორმაციო სისტემისთვის, რომლებიც დაფუძნებულია საერთო სტრატეგიული სივრცითი დაგეგმარების ხედვაზე, მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის, როგორც ქალაქის აუცილებელი კომპონენტის ინტეგრირების შესახებ;
- რეკომენდაცია გაიცა 2011 წლის ისტორიული ურბანული ლანდშაფტის (HUL) მიდგომის გამოყენების შესახებ, როგორც ძირითადი ინსტრუმენტი კულტურული მემკვიდრეობის ინტეგრირებული დაცვის გრძელვადიანი ხედვის შემუშავებისთვის, დანერგვისთვის და მდგრადი განვითარებისთვის;
- საქართველოს მთავრობის N411 დადგენილების - „მცხეთის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში ურბანული განვითარების რეგულირების სპეციალური რეჟიმის შემოღების“ შესახებ (მორატორიუმი) ცვლილების სამუშაო ვერსიის განხილვა.

მორატორიუმის გაგრძელება მისასაღმებელია შემდგომ შეტყობინებამდე ან გენერალური გეგმის მცხეთის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმებისა და განვითარების დეტალური გეგმების დამტკიცებამდე. მორატორიუმში შევა დამატებები მცხეთის ზოგიერთ რაიონში რეჟიმის შერბილების მიზნით და ასევე დეტალური სახელმძღვანელო დებულებები მშენებლობის პირობებისა და შეზღუდვების სპეციფიკაციებით იმ პირობით, რომ მორატორიუმი მოიხსნება მხოლოდ სივრცითი ურბანული დაგეგმარების საინფორმაციო სისტემისა და ტერიტორიული დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ.

ამ მისიის რეკომენდაციების შესაბამისად, წევრმა ქვეყანამ დამოუკიდებელი საერთაშორისო ქალაქგეგმარებლის დახმარებით, გააძლიერა ურბანული დაგეგმარების დოკუმენტაციის შემუშავების პროცესი.

მიზანშეწონილია, რომ კომიტეტმა დაამტკიცოს 2018 წლის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციები და, ასევე, მხარი დაუჭიროს 2019-2020 წლების საკონსულტაციო დახმარების პროცესს. წევრ ქვეყანას უნდა მოეთხოვოს დამტკიცებამდე განსახილველად წარმოადგინოს მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის (ULUMP-ის) დასრულებული კომპონენტები, მათ შორის ქალაქ მცხეთის სივრცით-გეგმარებითი საინფორმაციო სისტემა.

აღვნიშნავთ, რომ წევრმა ქვეყანამ წარადგინა დოკუმენტაცია თბილისის ქარის ელექტროსადგურის დაგეგმილი მშენებლობის შესახებ ძეგლის ფართო სეთინგში/გარემოში და მისი ბუფერული ზონის გარეთ. წინადადებას განიხილავენ მრჩეველი ორგანოები.

წევრ ქვეყანას, ასევე, უნდა მოეთხოვოს, განაგრძოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში, საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპების 172-ე პუნქტის შესაბამისად, ყველა პროექტის წარდგენა, რომელიც წარმოდგენილია მცხეთის გენერალური გეგმის კონცეფციაში, განსაკუთრებით ის პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან - „დიდი მცხეთის ტურისტული კარიბჭეები“, „ეროვნული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი“ და „ქრისტიანობის გავრცელების მუზეუმი“. ამასთან ერთად, ამ პროექტების მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასებები (HIA) უნდა განხორციელდეს ახლავე, პროექტების სტრატეგიის დონეზე და ისინი მრჩეველმა ორგანოებმა უნდა განიხილონ ნებისმიერი შეუქცევადი მოქმედების განხორციელებამდე.

კულტურული მცხეთა შეყვანილია სიაში, როგორც "კულტურული მემკვიდრეობა გაძლიერებული დაცვის ქვეშ" - მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია 1954 წლის ჰააგის კონვენციაზე 1999 წელს მიღებული მეორე ოქმით. ამ მხრივ, უმაღლესი დონის დაცვის ზომები, რისკისა და საგანგებო სიტუაციების მზადყოფნის ჩათვლით, ინტეგრირებული უნდა იყოს ურბანული დაგეგმარების დოკუმენტაციაში.

გადაწყვეტილების პროექტი: 44COM7B.47

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა,

1. შეისწავლა რა: დოკუმენტი WHC/21/44.COM/7B.Add,
2. ეხმიანება რა. 42-ე სესიაზე (მანამა, 2018) მიღებულ გადაწყვეტილებას 42 COM 7B.24,
3. აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი კომიტეტის რეკომენდაციების განსახორციელებლად;
4. მიესალმება მცხეთის ქალაქის გენერალური გეგმის კონცეფციის მონაცემთა ბაზის შემუშავებას, რომელიც მოიცავს ქალაქის და მისი შემოგარენის ყველა შენობასა და მიწის ნაკვეთს წარმოდგენილს 3D ფორმატში, შევსებულს ძირითადი მონაცემებით. იგი წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს გენერალური გეგმის შემდგომი ფაზებისთვის, ასევე, მისი სამომავლო განხორციელების მონიტორინგისთვის და შეაფასებდა მოითხოვს ქალაქ მცხეთის გენერალური გეგმის დროულად დასრულებას;
5. მოუწოდებს წევრ ქვეყანას გააგრძელოს მუშაობა „მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მენეჯმენტის დოკუმენტაციის“ განვითარებაზე მცხეთის ურბანული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის (ULUMP) ჩათვლით. და, ასევე, წარუდგინოს გეგმის მთავარი კომპონენტების სამუშაო ვერსია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, საერთაშორისო ICOMOS-ის მიერ განსახილველად არა უგვიანეს 2022 წლის 1 თებერვლისა;
6. ასევე აღიარებს წევრი ქვეყნის გადაწყვეტილებას შეინარჩუნოს „კანონი სპეციალური ურბანული განვითარების რეგულირების რეჟიმისა და მიწის პრივატიზაციის შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში“ (მორატორიუმი) „მცხეთის სივრცითი ტერიტორიული განვითარების მენეჯმენტის დოკუმენტაციის“ მიღებამდე და კონტროლისა და მონიტორინგის სრულად განხორციელებამდე; ასევე, მიესალმება წევრი ქვეყნის გადაწყვეტილებას გააგრძელოს მორატორიუმი შემდგომ შეტყობინებამდე, ან ყველა საჭირო სისტემისა და თანხმობების მიღებამდე;
7. მხარს უჭერს მიმდინარე 2019-2020 წლების საკონსულტაციო დახმარებას და ამტკიცებს 2018 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის საკონსულტაციო მისიის ერთობლივ რეკომენდაციებს და მოუწოდებს წევრ ქვეყანას განახორციელოს ეს რეკომენდაციები, რომლებიც ეხება:
 - ა) ULUMP-ის განვითარებას,
 - ბ) გადაუდებელი კონსერვაციის საკითხების მოგვარების საჭიროებას, რომლებიც თუ გადაუჭრელი დარჩა და შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ძეგლის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებაზე (OUV),
 - გ) მცხეთის ისტორიული ურბანული ლანდშაფტის გრძელვადიანი ხედვის განვითარების საჭიროებას, რათა უხელმძღვანელოს იმ ცვლილებების მართვას, რომელიც გამოწვეულია კომერციული ტურიზმის გაზრდით, ისეთი მიდგომით, რომელიც აერთიანებს კულტურულ მემკვიდრეობას და მდგრად განვითარებას.
8. მოითხოვს წევრმა ქვეყანამ გააგრძელოს საოპერაციო სახელმძღვანელოების 172-ე პუნქტის შესაბამისად დეტალური ინფორმაციის წარდგენა ძეგლის ტერიტორიაზე, მის ბუფერულ ზონასა და სეთინგში/გარემოში (Setting) ნებისმიერი შემოთავაზებული განვითარების

პროექტის შესახებ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მრჩეველი ორგანოების მიერ განსახილველად ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელთა გამოსწორება რთული იქნება;

9. უძეოლებს თავის მოთხოვნას წევრ ქვეყანას, რომ განახორციელოს მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება (HIAs) ძველი ტერიტორიაზე და ბუფერულ ზონაში განვითარების პროექტებისთვის, როგორც მიმდინარე და დაგეგმილი განვითარების პროექტების მრავლობითი და კუმულაციური ზემოქმედების დროული და სათანადო შეფასების მეთოდი, რომელიც გაითვალისწინებს ძველი გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებაზე პოტენციურ ზემოქმედებას. აუცილებელია, რომ შეფასების მეთოდი თანხვედრაში იყოს ICOMOS- ის კულტურული მსოფლიო მემკვიდრეობის HIAs სახელმძღვანელო პრინციპებთან, და შეფასება უნდა მოხდეს ნებისმიერი სახის განვითარების პროექტის განხორციელებამდე და ULUMP- ის დამუშავების დასრულებამდე;
10. საბოლოოდ წევრ ქვეყანას სთხოვს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს 2022 წლის 1 დეკემბრამდე წარუდგინოს განახლებული ანგარიში მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციული მდგომარეობისა და ზემოაღნიშნულის განხორციელების შესახებ, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ შესამოწმებლად 46-ე სესიაზე 2023 წელს.

EUROPE AND NORTH AMERICA

48. Historical Monuments of Mtskheta (Georgia) (C 708bis)

Year of inscription on the World Heritage List 1994

Criteria (iii)(iv)

Year(s) of inscription on the List of World Heritage in Danger 2009-2016

- Lack of a management mechanism
- Privatisation of surrounding land
- Loss of authenticity of some components due to restoration works conducted using unacceptable methods

Previous Committee Decisions see page <http://whc.unesco.org/en/list/708/documents/>

International Assistance

Requests approved: 4 (from 1997-2010)

Total amount approved: USD 96,160

For details, see page <http://whc.unesco.org/en/list/708/assistance/>

UNESCO Extra-budgetary Funds

Total amount provided: Funds-in-Trust. Georgia-UNESCO Agreement: Cultural heritage advisory service to the NACHP (National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia) to be implemented under the Third Regional Development Project (RDP III). Total budget: USD 250, 000.

Previous monitoring missions

1993: World Heritage Centre mission; May 1994: ICOMOS Advisory mission; 1999: World Heritage Centre mission; May 2001: Heritage and Tourism Master Plan mission; November 2003, June 2008, March 2010, April 2012, November 2014 and February 2018: Joint World Heritage Centre/ICOMOS/ICCROM Reactive Monitoring missions; November 2014: Joint World Heritage Centre/World Bank Advisory mission; November 2015, February and December 2016: World Heritage Centre technical assistance missions; July – September 2017: World Heritage Centre on-site technical assistance; December 2018: World Heritage Centre/ICOMOS Advisory mission; February 2020: ICOMOS Advisory Mission.

Factors affecting the property identified in previous reports

- Lack of a management mechanism (issue resolved)
- Lack of definition of the unified buffer zone (issue resolved)
- Lack of Urban Master Plan of the City of Mtskheta
- Insufficient coordination between the Georgian Church and the national authorities
- Privatization of surrounding land
- Natural erosion of stone
- Loss of authenticity during previous works carried out by the Church
- Inappropriate urban development within a sensitive historical environment (issue resolved)

Illustrative material see page <http://whc.unesco.org/en/list/708/>

Current conservation issues

On 29 November 2019, the State Party submitted a state of conservation report, the summary of which is available at <http://whc.unesco.org/en/list/708/documents/>. It provides information on measures implemented by the State Party in response to the Decision adopted by the World Heritage Committee at its 42nd session (Manama, 2018) as follows:

- Adoption of the new “Code of Georgia on Planning of Space, Architectural and Construction Activities“ (entered in to the force on 3 June 2019);

- Establishment of the Special Steering Committee (SC) and the Inter-institutional Professional Committee to support, supervise and monitor the elaboration of the Urban Planning Documentation;
- Adoption of the decision to extend until July 2020, the Decree on Urban Development and Land Privatization in the Cultural Heritage Protection Zones of Mtskheta (known as the Moratorium).

Other conservation issues identified by the State Party in the report include further information on the implementation of a conservation project of the Minor Church of Jvari monastery (2015-2018), rehabilitation works for the Samtavro Valley archaeological site, stone conservation works of the Western Gate and rehabilitation works of the fragment of the western defence wall of Svetitskhoveli Cathedral Complex, and adaptation works of the new Mtskheta archaeological museum.

In 2018-2021, the State Party has submitted 36 project proposals, located within the boundaries, in the buffer zone and in the wider setting of the property, in accordance with Paragraph 172 of the *Operational Guidelines*, to the World Heritage Centre and for review by the Advisory Bodies.

Following a high-level meeting between the Assistant Director-General for Culture, the Vice-Prime Minister, the Minister of Regional Development and Infrastructure of Georgia and the Minister of Education, Science, Culture and Sport of Georgia held at UNESCO on 4 February 2020, constructive dialogue was enhanced between the World Heritage Centre, ICOMOS and national authorities in order to provide additional advisory assistance to the state institutions to finalise "Management Documentation for Spatial Territorial Development of Mtskheta".

The State Party continued to send additional information to the World Heritage Centre in 2020 and 2021:

- On 10 March 2020, information was provided in particular on the Mtskheta City Master Plan Concept, including all sectorial plans, projects and programmes related to the area, information on a Governmental Action Plan for Sustainable Development of "Great Mtskheta", as well as the 2019-2020 Advisory assistance report;
- On 23 December 2020, the State Party informed the Secretariat about the extension of the Moratorium beyond 1 January 2021, until uncertain date. Updates were provided on the Mtskheta City Master Plan, as following difficulties with the company contracted to advance the development, the State Party plans online consultation meetings with experts to progress with the document;
- On 17 April 2021, documentation was received from the State Party on the planned Tbilisi Wind Power Plant to be implemented within the wide setting and outside the buffer zone of the property, followed by third party concerns on 23 April 2021;
- On 17 May 2021, the State Party informed the World Heritage Centre that the development of the Management Documentation for Spatial-Territorial Development of Mtskheta (ULUMP) and of detailed guidance specifying conditions and construction limits is still slowing down due to COVID-19. Therefore, the Moratorium has been extended until the General Plan, Development Plans and Detailed Development Plans of Mtskheta are approved by the municipality.

Analysis and Conclusions of the World Heritage Centre, ICOMOS and ICCROM

The State Party has achieved considerable progress in addressing the factors affecting the property. The development of the "Management Documentation for Spatial Territorial Development of Mtskheta", including Mtskheta Urban Land Use Master Plan (ULUMP) is underway and this will deliver 1) General plan of Mtskheta; 2) Development Plans and Detailed Development Plans of Mtskheta; and 3) Mtskheta Spatial Planning and Urban Planning Information System.

In December 2018, at the request of the Georgian authorities, and in the context of the 2019-2020 Advisory assistance, a joint World Heritage Centre/ICOMOS Advisory mission was invited to the property, and undertook the following:

- Review of the progress with ULUMP, in particular the Mtskheta City Master Plan Concept - Stage II - a very important database that encompasses all the buildings and plots of the town and the surroundings in 3D representations, complemented by their basic data. This database will be a key tool in subsequent phases of the Master Plan, as well as for future monitoring of its implementation;

- Review of the updated Terms of Reference for the elaboration of the Mtskheta Spatial Planning and Urban Planning Information System, based on a shared strategic spatial planning vision, integrating heritage and landscape as an essential component of the city;
- Recommendation on the use of the 2011 Historic Urban Landscape (HUL) approach as a main tool to develop and introduce a long-term vision for the integrated protection of cultural heritage and sustainable development;
- Review of a draft amendment to Decree N411 of Georgian Government on “Enactment of Special Regime of Regulation of Urban Development in Cultural Heritage Protection Zones of Mtskheta Municipality” (the Moratorium).

The extension of the Moratorium until further notice or until the approval of the General Plan, the Development Plans and Detailed Development Plans of Mtskheta by the municipality, is welcome. The Moratorium will include amendments introducing a softening of the regime in some parts of Mtskheta and detailed guidance specifying conditions and construction limits, and with a condition that the Moratorium will be removed only after the approval of the Spatial Urban Planning Information System and Territorial Documentation.

In line with these mission recommendations, the State Party, with the assistance of an independent international urban planner, has reinforced the process of elaboration of the Urban Planning Documentation.

It is recommended that the Committee endorse the recommendations of the 2018 Advisory mission, as well as support the 2019-2020 Advisory assistance process. The State Party should be requested to submit for review the remaining completed components of the ULUMP, including the Spatial Urban Planning Information System for the city of Mtskheta before approval.

It is noted that the State Party has submitted documentation on the planned Tbilisi Wind Power Plant to be implemented within the wide setting and outside the buffer zone of the property, and the proposal will be reviewed by the Advisory Bodies.

The State Party should also be requested to continue to submit to the World Heritage Centre, in conformity with Paragraph 172 of the *Operational Guidelines*, all projects presented in the Mtskheta City Master Plan Concept, in particular those concerning “Tourism Gateways of Great Mtskheta”, “National Centre for Intangible Cultural Heritage” and the “Museum of Spreading of Christianity”, including Heritage Impact Assessments (HIAs) to be carried out already at the strategic level, for review by the Advisory Bodies before any irreversible action is taken.

The property is listed as a “Cultural Property Under Enhanced Protection”, a mechanism established by the 1999 Second Protocol to the 1954 Hague Convention. In this regard, the highest-level protection measures, including risk and emergency preparedness, will need to be integrated in the Urban Planning Documentation.

Draft Decision: 44 COM 7B.48

The World Heritage Committee,

1. *Having examined Document WHC/21/44.COM/7B.Add,*
2. *Recalling Decision **42 COM 7B.24**, adopted at its 42nd session (Manama, 2018),*
3. *Acknowledges the considerable progress made by the State Party to implement the Committee’s recommendations;*
4. *Welcomes the development of the Mtskheta City Master Plan Concept database that encompasses all the buildings and plots of the town and the surroundings in 3D representations, complemented by basic data, a key tool in subsequent phases of the Master Plan, as well as for future monitoring of its implementation and strongly suggests the timely completion of the Mtskheta City Master Plan;*

5. Encourages the State Party to continue on-going work on the development of the “Management Documentation for Spatial Territorial Development of Mtskheta”, including Mtskheta Urban Land Use Master Plan (ULUMP), and to submit drafts of the main components of this plan to the World Heritage Centre for review by ICOMOS International by at the latest **1 February 2022**;
6. Also acknowledges the State Party’s decision to maintain the “Enactment of Special Regime of Regulation of Urban Development and Land Privatization in the Cultural Heritage Protection Zones of Mtskheta Municipality” (the Moratorium) until the “Management Documentation for Spatial Territorial Development of Mtskheta” has been adopted, and control and monitoring is fully in place; and also welcomes the decision by the State Party to extend the Moratorium until further notice, or until all the necessary systems and approvals are in place;
7. Supports the on-going 2019-2020 Advisory assistance and endorses the recommendations of the 2018 joint World Heritage Centre/ICOMOS Advisory mission and invites the State Party to implement these recommendations that relate to:
 - a) The development of the ULUMP,
 - b) The need to address existing urgent conservation issues that if left unresolved could have a negative impact on the Outstanding Universal Value (OUV) of the property,
 - c) The need for the development of a long-term vision for the historic urban landscape of Mtskheta, to guide the management of change resulting from increased commercial tourism with an approach that integrates cultural heritage with sustainable development;
8. Requests the State Party to continue submitting, in accordance with Paragraph 172 of the Operational Guidelines, detailed information on any proposed development projects within the property, its buffer zone and setting, for review by the World Heritage Centre and the Advisory Bodies prior to any decisions being taken that could be difficult to reverse;
9. Reiterates its request to the State Party to undertake a Heritage Impact Assessment (HIA) for developments within the property and its buffer zone as a timely and appropriate method of assessing the multiple and cumulative impacts of current and planned developments, taking into account potential impacts on the OUV of the property, in conformity with the ICOMOS Guidelines on HIAs for Cultural World Heritage properties, prior to allowing any developments to take place and prior to the finalization and implementation of the ULUMP;
10. Finally requests the State Party to submit to the World Heritage Centre, by **1 December 2022**, an updated report on the state of conservation of the property and the implementation of the above, for examination by the World Heritage Committee at its 46th session in 2023.